ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ- 52377/07

"08" 12 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ისანი, ძმები ორბელიანების ქ. №7-ში (საკ. კოდი №01.17.10.002.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1424509 07.08.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ისანი, ძმები ორბელიანების ქ. №7-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

დამხმარე შენობები:

ფასადი 12-1: ±0.00 ნიშნულზე „12-9“ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კედლების ფაქტურა და ღებვის ფერი. „11-10“ მონაკვეთში შეცვლილია სახურავის ფორმა.

ფასადი ა-ე: „ე-ე“ ღერძის გარეთ საპროექტო შენობაზე დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი, ხოლო ფრამუგაზე დამატებულია ლითონის გისოსი. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კედლების ფაქტურა და ღებვის ფერი.

ფასადი ე-ა: „ე-ე“ ღერძის გარეთ საპროექტო შენობაზე გაზრდილია ფრამუგა სიგანეში ხოლო კარი შემცირებულია სიმაღლეში, მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მისი ნახატი. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კედლების ფაქტურა და ღებვის ფერი. სახურავის ძირზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცელი.

„4-3“ მონაკვეთში შემცირებული საპროექტო შენობის გაბარიტი 0.3მ-ით. ასევე „12-9“ მონაკვეთში შემცირებულია საპროექტო შენობის გაბარიტი 0.75მ-ით.

მინაშენი №3

ფასადი A-Z: შეცვლილია რელიეფის დონე რის ხარჯზეც გაუქმებულია ბაქანი, მოაკირები და შემცირდა კიბის საფეხურების რაოდენობა.

ფასადი I-VII: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. ფასადზე რიგელები და კოლონები გამოკვეთილია კედლის სიბრტყეზე. „VI-VII“ მონაკვეთში შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ფასადი Z-A: ფასადზე რიგელები და კოლონები გამოკვეთილია კედლის სიბრტყეზე. ±0.00 ნიშნულზე „F-E“ მონაკვეთში ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი.
ფასადი VII -I: შეცვლილია რელიეფის დონე რის ხარჯზეც გაუქმებულია ბაქანი, მოაჯირები და კიბე. „VII- V“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფრამუგა. „IV- IV“ ღერძზე დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი.

შენობაზე შეცვლილია კარის და ფანჯრის ნახატები. ასევე ფანჯრის ღიობებზე დამატებით მოწყობილია დეკორატიული ელემენტები ნაწილობრივ შეცვლილია შენობის კედლების ფაქტურა და ღებვის ფერი.

„F-F“ ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური საყრდენი კედელი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი"-ს, ალექსანდრე ჯავახიშვილის, ქ. თბილისში, სექტორი ისანი, ძმები ორბელიანების ქ. №7-ში (საკ. კოდი №01.17.10.002.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება-დაშენება)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №52377/07 15.10.2015წ. განცხადება.
№წ-52377/07 22.10.2015წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე